

**ინფლაციის ახსნა საქართველოში:
ახდენს თუ არა გავლენას გაცვლითი კურსი და ნომინალური ხელფასი
სამომხმარებლო ფასების ფორმირებაზე?**

გარდამავალ ეტაპზე მყოფი სახელმწიფოების გამოცდილება ცხადყოფს გაცვლითი კურსის მნიშვნელობას სამომხმარებლო ფასების ფორმირებაში. დამოუკიდებელი საქართველოც ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს. ჰიპერინფლაციური შოკების დამლევის შემდგომ პერიოდში (1994–2005წწ.) ქვეყანაში სტაბილურად შეინიშნება ინფლაციური ტემპების უარყოფითი დამოკიდებულება ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ, რასაც ვერ ვიტყვით უკანასკნელი სამი წლის მაგალითზე – 2005-2007 წლებში სამომხმარებლო ფასები განაგრძობს ზრდას გაცვლითი კურსის შედარებით სტაბილური ცვლილების ფონზე.

ექვგარეშეა ისიც, რომ ინფლაცია და ნომინალური ხელფასი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, თუმცა ამ დამოკიდებულების რაოდენობრივი მხარე დღემდე არ არის შესწავლილი. სამომხმარებლო ფასებსა და გაცვლითი კურსის ცვლილებას შორის დამოკიდებულების შესწავლის აუცილებლობას კიდევ უფრო მეტად განაპირობებს უკანასკნელ პერიოდში თავად ხელფასების დონის მკვეთრი ზრდა, რაც ექსპერტთა მტკიცებით მაღალ ინფლაციურ რისკებთან არის დაკავშირებული.

წინამდებარე გამოკვლევა სწორედ ზემოთ აღნიშნული პრობლემატიკის ემპირიულ შესწავლას ისახავს მიზნად, ვექტორული ავტორეგრესიის მოდელზე დაყრდნობით, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ ბაზარს – გაცვლითი კურსის, ფულის და შრომის ბაზრებს. გამოკვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ:

— გაცვლითი კურსის 1%-იანი გაუფასურება იწვევს იმავდროულად სამომხმარებლო ფასების დონის 0.28%-ით ზრდას. გრძელვადიან პერიოდში ფასები კიდევ უფრო მგრძობიარეა კურსის დაცემის მიმართ. გაცვლითი კურსის 1%-იანი გაუფასურება იწვევს გრძელვადიან პერიოდში სამომხმარებლო ფასების დონის 0.43%-ით ზრდას.

— ნომინალური ხელფასის 1%-იანი ზრდა იწვევს იმავდროულად სამომხმარებლო ფასების დონის 0.03%-ით ზრდას. ამასთან გავლენა მხოლოდ მიმდინარე პერიოდით შემოიფარგლება, ხოლო გრძელვადიან პერიოდში ნომინალური ხელფასის დინამიკა ფასებზე უშუალო ზემოქმედებას არ ახდენს.

მაშასადამე, ნომინალური ხელფასის დინამიკის გავლენა ინფლაციის დონეზე მეტად უმნიშვნელოა, თუმცა საკუთრივ ხელფასების საგრძობლად მკვეთრი ზრდა 2005–2007 წლებში ეკონომიკის მთელ რიგ სექტორებში (სახელმწიფო სექტორში 293.1%-ით) მიუთითებს აღნიშნული ფაქტორის მნიშვნელობაზე ფასების ფორმირების პროცესში.

გაცვლითი კურსი ყველაზე ძლიერ გავლენას ახდენს ფასების დინამიკაზე როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში, რაც ქვეყანაში დოლარიზაციის უაღრესად მაღალი დონით და სამომხმარებლო კალათში იმპორტული საქონლის დიდი წილით არის განპირობებული. თუმცა სტაბილური გაცვლითი კურსის ფონზე ფასების მკვეთრი ცვლილება საკუთრივ

რიგი ცვლადების დინამიკით აიხსნება. სწორედ სურსათის ფასების მკვეთრი სეზონური ცვლილება, რომელიც წლიდან წლამდე 150–200%–საც კი აღწევს, განაპირობებს სამომხმარებლო ფასების ცვლილებას საქართველოში. ეკონომიკის სეზონურობა მოდელში ე.წ. გადაგვარებული ცვლადის ჩართვით არის გათვალისწინებული.

რაც შეეხება სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლების წვლილს ფასების ფორმირებაში, ძალზედ მნიშვნელოვანია ფულადი მასების გავლენა ფასების დონეზე. გრძელვადიან პერიოდში ფულის მასის ცვლილება 1%–ით იწვევს სამომხმარებლო ფასების 0.35%–ით ზრდას. მოკლევადიან პერიოდში აღნიშნული ეფექტი შედარებით სუსტია.